

მშენებლობა - დასაქმების სფეროები და პერსპექტივები

1. შენობა რომ ააშენო, საჭიროა პირველ რიგში იგი დააპროექტო. დაპროექტებისთვის კი საჭიროა ცოდნა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს გარკვეულ ნორმებსა და პირობებს. მშენებლობაში ამას სამშენებლო ნორმები და წესები ქვია. როგორი მდგომარეობაა ამჟამად ამ მხრივ საქართველოში? ქართულ ენაზე დამუშავებული გვაქვს 4 სამშენებლო ნორმა და წესი. რამდენია საჭირო? ძალიან ბევრი, 20-25. როგორ აპროექტებენ შენობებს ქართველი არქიტექტორები და კონსტრუქტორები? სამწუხაროდ ძველი, საბჭოთა კავშირში დამუშავებული, ან ნაწილობრივ რუსული წესებითა და ნორმებით, რომლებიც განსხვავდებიან ევროკოდებისგან. ევროკოდებს თითქმის მთელ მსოფლიოში ეყრდნობიან, მაგალითად ინგლისელებს დამუშავებული ჰქონდათ ეროვნული კოდები, გამოშვებული 2003-05 წლებში და ისინი გადავიდნენ ევროკოდებზე, რომლებიც დამტკიცებულ იქნა 1995-96 წლებში.

ისწავლე GAU-ში მშენებლობა და პროექტირება კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით და შენ შეისწავლი ევროკოდებს, შეისწავლი დაპროექტების მსოფლიო გამოცდილების პრინციპებს და შეძლებ მიიღო მონაწილეობა ნებისმიერი ფირმის საპროექტო ორგანიზაციაში.

2. დღევანდელ დღეს მსოფლიოში დიდია დაინტერესება საქართველოს ზღვისპირეთით და მთის კურორტებით. გაჩნდა უამრავი ინვესტორი, თავისი იდეებითა და პროექტებით. ამ პროექტების განხორციელებას ძირითადად უცხოელი სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. ისწავლე GAU-ში მშენებლობა და დაპროექტება კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით და შენ შეძლებ შეცვალო უცხოელი სპეციალისტები, შეძლებ დაამყარო კავშირი უცხოურ ფირმებთან, აწარმოო მათთან მოლაპარაკებები, მიიღო მონაწილეობა მშენებლობებში, რადგანაც შენ შეგეძლება საზღვარგარეთულ ფირმებში ევროსტანდარტებით დამუშავებული ნახაზების კითხვა და ამ ნახაზებით მშენებლობის განხორციელება.

3. ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს საეკლესიო და საერო ნაგებობების რეკონსტრუქცია აღდგენას. ისწავლე GAU-ში მშენებლობა და დაპროექტება კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით და შენ შეძლებ მიიღო მონაწილეობა შენობა-ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების კვლევაში, მათი გამაგრების ღონისძიებების დაპროექტებასა და განხორციელებაში.

ისწავლე GAU-ში და შენ შეძლებ კომპიუტერის საშუალებით ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას, რაც შეეხება ნებისმიერი ფორმისა და სართულიანობის შენობის დაგეგმარებას, ურთულესი კონსტრუქციების გათვლასა და დაპროექტებას. და ამას შენ შეძლებ, როგორც მშობლიურ, ასევე ინგლისურ ენაზე.

ისწავლე GAU-ში, შენ განათლებას და დაოსტატებას უხელმძღვანელებენ ცნობილი პედაგოგები და გამოცდილი პროფესორები, მოქმედი არქიტექტორები და კონსტრუქტორები, მშენებლობების ორგანიზაციის სპეციალისტები.